



# ფესტივალი

საპარტოვლოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაში \* № 6 (89) 28 ნოემბერი 2014 წელი

ნატა ლლონტი

**Tbil isis saerTaSoriso**

**kinofestival i**

გვ. 2

თეკლა ლომთაძე

**xorbal s monatrebul i**

**~Citebi~**

გვ. 2-3

თამთა ქაჯაია

**yviTel i xma**

გვ. 4

პედაგოგი მანანა მაჩაბელი

**fsiqol ogi is gakveTil ebi**

**grZel deba –**

**Teori i dan praqt i kamde**

გვ. 4-8

ნინო დარჩიაშვილი

ნინო დარახველიძე

თამთა გვიჩიანი

**i oane (vano) xuciSvil i da misi**

**reJisura**

გვ. 9-11

ნინო დარჩიაშვილი

**ufrTo Taoba**

გვ. 12

**THE 15<sup>th</sup>** თბილისის  
საერთაშორისო  
კინოფესტივალი

**TBILISI INTERNATIONAL  
FILM FESTIVAL**

01-07.12.2014

კ/თ ამირანი, რუსთაველი  
www.tbilisifilmfestival.ge






# Tbilisis saerTasorisso kinofestivali

დეკემბერი, წლის დასასრულთან ერთად, თბილისის საერთაშორისო ფესტივალის დასაწყისთან ასოცირდება. რიგით მე-15, 1-7 დეკემბრამდე გაგრძელდება. ფესტივალი, ტრადიციისამებრ, წელსაც მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით გამოირჩევა. ფილმების ნახვის გარდა, ჩვენ საშუალება გვაქვს, დავესწროთ ცნობილი კინემატოგრაფისტების მასტერკლასებსა თუ კონფერენციებს.

ტრადიციული და ყველაზე პოპულარული სექცია ფესტივალზე ევროპული კინოს ფორუმია, სადაც მნიშვნელოვანი კინოფესტივალების საუკეთესო ფილმები არის წარმოდგენილი. მათ შორის იქნება, წლებგანდელი პალმის რტოს

მფლობელი ნური ბილგეს – „ზამთრის ძილი“, რომელსაც მისი პროდიუსერი წარადგენს. ასევე – ფრანგი კინოლევანდის, ჟან-ლუკ გოდარის მსურათი „მშვიდობით ენავ“.

ფესტივალს გახსნის ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ირანელი რეჟისორის, მოჰსენ მაჰმალბაფის საქართველოში გადაღებული ფილმი „პრეზიდენტი“, რომელსაც თვითონ რეჟისორი წარუდგენს აუდიტორიას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაჰმალბაფების ოჯახი ფესტივალის ხშირი სტუმრები არიან. მათი კინოოჯახიდან წელს რეჟისორის ქალიშვილიც, ჰანა მაჰმალბაფიც ეწვევა ფესტივალს.

გირჩევთ, სამუშაო გრაფიკი ისე შეადგინოთ, რომ მაქსიმალურად ჩაერთოთ „პრომეთეს“ კინემატოგრაფულ კვირეულში და თბილისური ნაცრისფერი დღეები გაიფერადოთ.

**nata RI onti  
ki nomcodneobis IV kursi**

# xorbal s monat rebul i `Citebi ~


კინემატოგრაფი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ასახო რეალობა და შემდეგამ რეალობამთავადაგსახოს. მსგავსი პათოსით გამოიარა ქართულმა კინომაც მთელი გასული საუკუნე. სამწუხაროდ, მას დღეს არ ულხინს. არ ულხინს ზუსტად ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანას და ამის მიზეზი მთელი რიგი იმპროცესებისაა, რომელთა აქ ჩამოთვლა-განხილვასაც, რასაკვირველია, ახლა არ შეეუდგებით. თუმცა, თანამედროვეობას თავისი სტანდარტები მოაქვს და მათთან სინქრონულ თანაფარდობაში იმედის მომცემი ფაქტების არსებობის დავიწყებაც არ იქნება მართებული. სულ ახლახანს, 30 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისში გამართულ მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე – „სესილი“ ახალი თაობის ქართველმა კინორეჟისორებმა წარმატებით

გამოავლინეს საკუთარი შესაძლებლობები. მათ შორისაა საქართველოს შოთა რუსთაველის



თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსის





სტუდენტი გიორგი ტყემალაძე, მისმა 12-წუთიანმა ნამუშევარმა – „ჩიტები“ ჯილდო ხმის საუკეთესო რეჟისურისათვის დაიმსახურა. ნაწარმოები ერთ პატარა ობოლ ბიჭზეა, რომელსაც სურს, გარდაცვლილ დედას ხმა ხორბალს მონატრებული ჩიტების დახმარებით მიაწვდინოს. რეჟისორის თქმით, მას სურდა აღეწერა ბავშვური გრძნობების სისუფთავე, კეთილშობილება და ისინი შეეძარებინა უკვე ზრდასრული ადამიანების გაუხეშებულ აზროვნებასთან.

ფილმი სრულიად მარტივი უბრალოებით სოფლის თოვლიანი პეიზაჟის ფონზე ქმნის იმ ესთეტიკას, რომლის გარეშეც მისი წარმოდგნა დღეს უკვე დასრულებული ნამუშევრის ყურებისას შეუძლებელია. არადა, თავად რეჟისორი ამბობს, რომ თავდაპირველ ჩანაფიქრში თოვლის არსებობა არც კი მოიაზრებოდა და ლოკაციად არჩეულმა საჩხერის სოფელმა ჭორვილამ ეს მნიშვნელოვანი შტრიხი თვითონ შეიტანა სურათში გადაღებების მსვლელობისას. როგორც აღმოჩნდა, დიდი წარმატებითაც, – რადგან ის პირველადობა, რაც თოვლის ნატურას ახლავს, ალბათ, ყველაზე ზუსტი და შესაფერისი ფონია ფილმის ლანდშაფტური სტრუქტურისათვის, გამომდინარე მასში

გატარებული ძირითადი აზრიდან. ამასთანავე, თოვლის ჭრიალი, რაც აშკარად ხაზგასმული უღერადობით იქცევის ყურადღებას, მთელ ნაწარმოებს იმდენად ორგანულად ერწყმის, ცოტა რთულია წარმოდგენა, რომ იგი არა ბუნებრივი, არამედ განმთავისებების დადებული ეფექტის დამუშავების შედეგია მხოლოდ. საერთოდაც, ზამთარი ერთგვარ პერსონაჟს წარმოადგენს აქ, მოხუც, ჭაღარა გმირს, რომელსაც ყველაფერი ესმის, ყველაფერი იცის, მაგრამ დუმის მხოლოდ ბიჭუნას ფერხით გათელილი თეთრი საფარის ახმანებით არღვევს დროდადრო. ზოგადად კი, ხმა უთუოდ ქმნის განსხვავებულ სპეციფიკას სურათის ხასიათის განსაზღვრებაში და რა გასაკვირია, რომ ეს დეტალი არც ფესტივალის ჟიურის წევრებს გამორჩენიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმის ყურებისას რჩება გაცნა ავტორის ხედვის ნათესაობისა ალექსანდრე რეხვიაშვილის ესთეტიკასთან. ეს იგრძნობა პეიზაჟის ასახვის სტილის თავისებურებებში და ჩემი აზრით, მისი მთავარი ღირსებაც არა ხმაში, არამედ სწორედ ამ უკანასკნელშია, მაგრამ იმიტომ არა, რომ იგი რეხვიაშვილის გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ, უმეტესწილად იმიტომ, რომ აქ ნათლად ჩანს რეჟისორის დამოკიდებულება ბუნებისადმი და ამ დამოკიდებულების გადმოცემის ინდივიდუალური მეთოდი.

რაც შეეხება ფესტივალს „სესილი“ – იგი პირველად 2001 წელს ჩატარდა და თავისი არსებობის განმავლობაში მაყურებელს 800-მდე საკონკურსო ფილმი წარუდგინა. ფესტივალის ფარგლებში ახალგაზრდა კინორეჟისორებისათვის ეწყობა შეხვედრები და მასტერკლასები კინოსამყაროს ცნობილ მოღვაწეებთან. ასევე, სხვადასხვა ქვეყნის კინოსკოლებიდან და სტუდენტებიდან მოწვეულ წარმომადგენლებს აცნობენ ქართულ კულტურას, თანამედროვე და ძველ კინოხელოვნებას. ერთი სიტყვით, ესაა ფესტივალი, რომელიც აქტიურად ემსახურება არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო კულტურას და აქ წარმატების მოპოვება ნამდვილად სერიოზულ მიღწევას წარმოადგენს დამწყები ხელოვანისათვის, რომელიც თავმდაბლობით აღნიშნავს, რომ მის ფილმს, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აქვს სერიოზული ხარვეზები. მათ გამოსწორებას იგი უკვე თავის შემდგომ ნამუშევრებში აპირებს, გაწეული დახმარებისათვის კი მადლობას უხდის ოპერატორ გიორგი სიბაშვილს, ხმის რეჟისორს შოთა ეპიტაშვილს, კომპოზიტორ გუგა გელაშვილსა და პროდიუსერ დავით ბეჟიტაშვილს. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვულოცავთ გიორგის ამ გამარჯვებას და მსოფლმხედველობის შემოქმედებითად ზრდის პროცესში ვაგრძელებთ მის გულშემატკივრობას.

**Tekl a I omTazE  
ki nomcodneobis IV kursi**



# yviTel i xma

ვასილი კანდინსკი ცნობილია როგორც მხატვარი, თუმცა მას ასევე დაწერილი აქვს „უვითელი ხმა“ –



პიესა, როელიც ბევრი ფერთა თუ მრავალფეროვანი მუსიკალური ბგერითაა გაუღენთილი. პიესის წაკითხვისას სრულიად თავისუფლები ვართ, – მინდობილნი მხოლოდ საკუთარ ფანტაზიასა და აღქმას, თითქოს სადაც სივრცეში გადიხარ, სადაც არა-ფერია, ისმის მუსიკა და მუსიკა წარმოშობს ჩვენს გონებაში მუსიკალურ ფერებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არაფრით შეზღუდულებს, საშუალება გვეძლევა, ჩვენივე აღქმით შევქმნათ პიესა და სწორედ ამით არის ეს პიესა უნიკალური. ხშირად დრამატურებს რომელიმე ხაზისაკენ მივყავართ, გვაძლევენ მიმართულებებს, აქ კი ყველა-ფერია და არა-ფერი.

საინტერესოა ისიც, რომ სანამ წერას დავიწყებდი, მივხვდი, – არა-ფერი მქონდა, – მხოლოდ სიტყვები, მუსიკის ხმად გაუღებრებული... ვიცოდი, რამხელა თავისუფლება მეძლეოდა ამ არა-ფერობაში. და სწორედ ამან გამიჩინა შიში... შიში იმისა, რომ არ მაქვს მიმართულება და მარტო ვარ ამხელა სივრცეში... შიში იმისა, რომ მე ვარ არა-ფერი ამხელა სივრცეში და შემეშინდა დაკარგვის. დაიკარგო ისე, რომ არცერთი ფერი მოვიდეს შენამდე, ვერ ჩაწვდე და ვერ იპოვო მთავარი – „უვითელი ხმა“...

მაგრამ, როგორც კი წერა დავიწყე, ყველა-ფერი ერთად მოვიდა და ჩემს გონებაში წარმოიქმნა ფერთა უსაზღვრო პალიტრა, რომელსაც ვერც დასაწყისი ვუპოვე, ვერც დასასრული და ვერც ხაზი, რომელსაც შეიძლებოდა გავყოლოდი.

სწორედ ამ ფერთა შერწყმამ, მუსიკალურმა გადასვლებმა ჩემში გამოიწვია ასოციაცია, შემექმნა ყოფიერების მეტაფორა – მრავალი კუთხე, საიდანაც ერთი მოვლენა თუ საგანი მთლიანად სხვადასხვანაირად ჩანს. ამ პიესის წაკითხვისას ხომ თავად ხდები რეჟისორი, კომპოზიტორი, მსახიობი, ბგერა თუ ფერი. ამის ნაწილობრივ შეგარძნებაც კი ჩემში იწვევს რაღაც ამაღლებულის გრძობას, სიდიადის განცდას, რომ მე არა-ფერი ამხელა სივრცეში ვარ ერთიანად ყველა-ფერი.

ვასილ კანდინსკის პიესა ალფრედ შნიტკემ გადაიტანა სცენაზე, სადაც, რა თქმა უნდა, მის მიერ დანახული, ანუ შნიტკესეული „უვითელი ფერი“ დომინირებს. წარმოდგენა დატვირთულია ემოციურად და ყოველი მოძრაობა შეგვიძლია აღვიქვათ როგორც სიმბოლურად, ისე მეტაფორულად. ყურებისას შეიგრძნობ ერთგვარ ტრანსს, სადაც გამოფხიზლება თუ მოდუნება შენი თავისუფალი არჩევანია, სწორედ ისე, როგორც კანდინსკის პიესაში. შნიტკეს არ დაუკარგავს ის მთავარი, რაც ჰქონდა ორიგინალ პიესას. აქაც ასეა: უყურებ, უსმენ, გრძნობ – ყველა-ფერია, მაგრამ კონკრეტული, მაინც – არა-ფერი.

შნიტკეს წარმოდგენაში დავინახე სხვა ფერების შემოსვლის პროცესი და ფერების ბრძოლა ერთმანეთთან, როგორც ყოფიერ ცხოვრებაში. ადამიანი თავისუფალია და მუდამ უხდება არჩევანის გაკეთება. როგორც კანდინსკის პიესა, ასევე შნიტკეს შემოქმედება იძლევა საშუალებას, რომ მოხვდე უსასრულობაში და ყოველ დასასრულში იპოვო ახალი დასაწყისი.

„უვითელ ხმაზე“ დაწერილი ყოველი ესსეი თუ რეცენზია პიესის ახალი დაბადებაა. განსხვავებული აზრი და განსხვავებული ხედვა ხომ წარმოდგენას ახლიდან ბერავს სულს და თავიდან აცოცხლებს მას.

TamTa qaj ai a Teatr mcdne

## fsiqol ogi is gakveTil ebi grZel deba

*ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი საკვლევი მეთოდის, თვითდაკვირვების თეორიულად ათვისების შემდეგ, გამიჩნდა იდეა – შემემოწმებინა – აქვთ თუ არა სახელოვნებო უნივერსიტეტის სტუდენტებს საკუთარ პიროვნებაში ჩანედვის უნარი.*

*მცდელობამ გაამართლა.*

*მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო სტუდენტებს, რომლებიც გაიხსნენ ჩემ წინაშე და შეიძლება ბევრისთვის დაფარული, საჩაროდ გამოიტანეს.*

*თუმცა, როდესაც ვთავაზობდი ჩვენს გაზეთში დაბეჭდვას, საზს ვუსვამდი – დაფიქრებულიყვნენ, სურდათ თუ არა მათი საზრევის საჩაროდ გამოტანა, ამასთან, ასევე შეეძლოთ ინკოგნიტოდაც დარჩენილიყვნენ.*

*მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პირველი კურსის სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებმა.*

პედაგოგი manana maCabel i

➤ 5. გვ.



◀ 4 გვ.

### Teori i dan praqti kamde



თვითდაკვირვება

**Iuka yufunia** — ფსიქიკური პროცესების შესასწავლად რამდენიმე მეთოდი არსებობს, მათ შორის, თვითდაკვირვება, რომლის გამოყენებაც საკმაოდ რთულია და ყველა ადამიანს არ შეუძლია. ეს იმიტომ, რომ რაიმე განცდის პროცესში საკუთარ თავზე დაკვირვება რთულია, რადგან, თუ განცდას აკვირდები, მაშინ ის სუსტდება ან სულაც ქრება. ამიტომ თვითდაკვირვების დროს აკვირდებიან განცდის შემდგომ ეტაპს, იმ კვალს, რომელიც განცდამ დატოვა.

ჩემს ცხოვრებაში რამდენჯერმე მქონდა თვითდაკვირვების მცდელობა. მახსოვს, სკოლაში ბავშვებმა მერხი გავტეხეთ და როდესაც მასწავლებელმა მთელ კლასში მკაცრად იკითხა, თუ ვინ ჩაიდინა ეს, მე მაშინვე კანკალი დამეწყო, თუმცა იმ წუთას არც მიფიქრია იმაზე, რომ რაღაც დავაშავე. როცა მასწავლებელმა ჯერ გამოგვლანძღა და შემდეგ შეურაცხყოფაც მოგვაყენა, დავიწყე თვითდაკვირვება. ვფიქრობდი, რატომ არ ვთქვი იმ მომენტში, რომ მე გავტეხე, ჩემი თავი დამნაშავედ ვიგრძენი. მინდოდა დროის უკან დაბრუნება და ყველაფრის გამოსწორება. ვიხსენებდი ჩემს თავს მასწავლებლის ჩხუბის მომენტში. ამ დროს მხოლოდ გაქცევაზე ვფიქრობდი და არა იმაზე, თუ რატომ ჩავიდინე ეს.

**sal ome zenaiSvili** — ზოგჯერ ვულრმავდებით საკუთარ თავს. ვაკვირდებით მოვლენებს, სადაც კი ამის საშუალება გვეძლევა. მოვლენებსა და გარემო-ფაქტორებს ვაკავშირებთ. ადამიანი

ყოველდღიურად დინამიკაშია. მას აქვს კავშირი ცოცხალ სამყაროსთან და პირიქით.

„ერთი პიროვნება მილიონჯერ მნიშვნელოვანია ათას საზოგადოებაზე“, — წერს ჩვენი დროის უდიდესი პოეტი და მოაზროვნე ბესიკ სარანაული.

როცა ზღვისპირა პატარა ქალაქიდან დედაქალაქში ჩამოსულს მიწვევს გადაადგილება ფეხით თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, სწორად ვიცლი ფიქრისთვის და შეიძლება ხანდახან უფრო მეტადაც.

„ადამიანი, რომელიც ბევრს ფიქრობს, მხოლოდ ფიქრობს“ — ხანდახან ასეცაა. ვაკვირდები ადამიანებს, საკუთარ თავს, ვცდილობ, ინდივიდად აღვიქვა თავი და შემდგომ ისიც გავაცნობიერო, რომ გარშემომყოფი საზოგადოებაც ცალკეული ინდივიდებისაგან შედგება. მახსენდება ლეგენდარული, სევდიანი მასხარას, ჩარლი ჩაპლინის დარიგება თავისი ქალიშვილის, ჯერალდინასადმი. იგი თავის შვილს ურჩევს, რომ დროდადრო გაეცალოს მდიდრულ სასახლეს, ელისეის მინდვრებს და მიაშუროს მეტროს, ავტობუსებს, ფეხით იაროს და თქვას — „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ“.

საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ სწორად სიზარმაცე და ხელის დაბანის, პასუხისმგებლობის მოცილების პრინციპი აფერხებს თვითდაკვირვების პროცესს. რომ არა თვითდაკვირვების, საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, ადამიანი ვერ განვითარდებოდა.

ჩემი დაკვირვების შედეგად ვხვდები, რომ ჩემი პიროვნება სუსტი ნებისყოფისაა, ხან ეგოისტია, ხან — კეთილი, ხან — ბოროტი, ხან — დაბნეული, ხან კი — „მე ფრინველი ვარ, საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი“.

მიმაჩნია, რომ თვითდაკვირვება ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პროცესია, ამ დროს პიროვნება ცდილობს საკუთარ თავთან დაახლოებას, საკუთარი თავის წვდომას და გაგებას.

**qristina liparteliani** — კაი, დავიწყეთ ჩემს თვითდაკვირვებაზე საუბარი.

პირველ რიგში შევთანხმდეთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ შორის რჩება (თქვენს ჩუმ ჯდომას თანხმობად მივიღებ).

ალბათ, იმით დავიწყებ, რომ ამდენი წლის თვითდაკვირვებით, შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, — ცოტათი არანორმალური ვარ... მაგრამ ყველანი ესეთები არ ვართ?

ჩემში რაც აღმოვაჩინე და რაც მომწონს, არის ის, რომ დებრესია ან ცუდი ხასიათი არ მჩვევია. ყოველი დღე ახალი და საინტერესოა და ყველა ამინდი — ლამაზი. განსაკუთრებით ღრუბლიანი და ცივი ამინდი მიყვარს. რატომ? თუ გაინტერესებთ, ამ გრძელ პასუხს სხვა დროს მოგახსენებთ. რაც არ მომწონს, ეს ერთის სურვილია და მეორის — კეთება. მაგალითად, ძლიერ ადამიანად მიმაჩნია თავი, მაგრამ ფილმებში ნაყინის დავარდნაზე მეტირება (პირდაპირი გაგებით. „ლილუ და სტიჩში“ მსუქან

➤ 6. გვ.



5 გვ.

ტიბს სულ რომ ნაყინი უვარდება, – მეტირება). ამ მიზეზით არ მიყვარს პაატა ბურჭულაძის კონცერტებზე სიარული, სამას კაცში უსირცხვილოდ რომ მატირებს და ყველა გაცეხილი მიყურებს. კონცენტრაციის უნარიც არ მაქვს. შემოდლია რამე საქმისგან შეცრად გავერთო და საათობით ფიქრებში და ოცნებებში დავიკარგო. სამყაროზე დაკვირვება არასოდეს მომბეზრდება. ყელაზე მეტად ალბათ ღრუბლიანი ცის და შემოდგომით აყვითლებულ-აწითლებული გარემოს ყურება მიყვარს. ვცდილობ, ამ საოცარ გრძნობას ანალიზი გავუკეთო, მაგრამ – ამაოდ. ეს წამიერი სილამაზე მეკარგება, თუ ძლიერ ჩავუკვირდები გრძნობებს. მიყვარს სიცივე და თოვლი. ალბათ იანვარში დაბადების ბრალია. ყველაზე ბედნიერ დღედ ახალი წელი მიმაჩნია, როცა ყველა მეგობრულია და ყველას ერთმანეთი უყვარს. მოკლედ რომ ვთქვა და თქვენც ალბათ ჩემი ნაწერიდან მიხვდით, რომ ეს სავარჯიშო კარგად არ გამიგია.

**naTia ezugbaia (შეიძლება, სულაც აბსურდული თვითდაკვირვება)** – ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი საკვლევი მეთოდი თვითდაკვირვებაა, რომელიც გულისხმობს ინტროსპექციას, ანუ შიგნით ჩახედვას. თვითდაკვირვება სუბიექტის საკუთარ „მე“-ში წვდომაა.

გაცნობიერებული თვითდაკვირვების მაგალითი მქონდა 30 წუთის წინ, როცა მეტროში ვიყავი. მინდოდა თავი მეგრძნო თავისუფლად და წამეკითხა სახელმძღვანელო. რა მიშლიდა ხელს, რატომ ვგრძნობდი შინაგან დისკომფორტს? გავაცნობიერე, რომ ეს მატარებელში არსებული მიკროსოციალური მიზეზით მჭირდა. თუმცა, ისინი მე რას მიშლიდნენ, მაგრამ, ფაქტია, სოციალური პიროვნებაზე ხშირ შემთხვევაში ამგვარადვე ახდენს გავლენას (დისკომფორტს უქმნის). შემდეგ მოვეშვი. ახლა რომ ვიცეკვო, ნეტა, ერთგვაროვან თუ განსხვავებულ ემოციებს შევხვდები?! – ეს, უბრალოდ, გავიფიქრე, ამის გაკეთების თავი ნამდვილად არ მქონდა, იმიტომ, რომ შუალედურზე მოვდიოდი. თუმცადა, შემოდლია წინა დღეები გავიხსენო. მაშინაც მეტროში ვიყავი, ამჯერად მუსიკას ვუსმენდი და მეცეკვებოდა. პერიოდულად ვითრგუნებოდი ადამიანთა სახეების ცქერით; იქნებ, სულაც არაფერი იყო დასათრგუნი. ვფიქრობ, თუკი ერთ ემოციაში ხარ, მთლიანად მისით ხარ მოცული. შეიძლება თავად ვარ განწყობილი ადამიანებისადმი ისე, რომ ისინი ტრაგიკულები მეჩვენებიან... ხალხის მასა ან ადამიანთა მცირე ჯგუფი ჩემთვის დამასვენებელია. უნდა გაცნობიერდეს რატომ, ვაგრძელებ ამაზე ფიქრს.

**mariam Wumburize** — სიმართლე რომ ვთქვა, აქამდე თვითდაკვირვების მეთოდი აქტიურად არ გამომიყენებია. რაც ამ საგნის შესწავლა დავიწყე, ვცდილობ დავაკვირდე არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ამა თუ

იმ ადამიანის ქმედებას ჩემში დადებითი და უარყოფითი განწყობა გამოუწვევია. უარყოფითის მომენტში მაშინვე ვამბობ, რომ მე ასე არ მოვიქცევი, თუმცა რომ დავკვირვებივარ, მივმხვდარვარ, რომ შეიძლება ადამიანი ისეთ სიტუაციაში ჩავარდეს, გარემო ფაქტორებმა ისე იმოქმედოს მასზე, რომ ეს უარყოფითი რეაქცია სწორედ გარემოდან იყოს გამოწვეული. დადებითის შემთხვევაში, ზოგჯერ, თუ არსებობს თეთრი შური, ვიტყვი, რომ თეთრი შურით ვუყურებ, რადგან მგონია, რომ მე ასე ვერ ვიტყვოდი, ვერ მოვიქცეოდი, თუმცა ამის სურვილი მქონია. მიუხედავად ამისა, ღრმად მწამს, რომ ყველა ადამიანს საკუთარი ზნეობა აქვს და ეს ზნეობა ვლინდება მის ქმედებაში.

ადამიანის ფსიქიკა ბავშვობაში ყალიბდება და არ მგონია, რომ ზრდასრულ ადამიანს შეიძლება შეეცვალოს ფსიქიკა. გვქონია ბევრი მაგალითი, როცა მკვლელი, ბანდიტი შემდგომში მონასტერში წასულა, ან პირიქით. არ ვიცი, რამდენად სწორად ვფიქრობ, მაგრამ, ჩემი აზრით, ადამიანს ბავშვობაში რა ფსიქიკაც უყალიბდება, ის ფსიქიკა რჩება ცხოვრების ბოლომდე. შემდგომი ცვლილებები კი უბრალოდ თვისებების გამომჟღავნებაა, რაც მასში ღრმად იყო ჩამალული და რომელიმე ფაქტორმა გაააქტიურა.

ყოველთვის მეგონა, რომ ვიყავი გულუბრყვილო ადამიანი, თუმცა ბოლო წლებში ეს მოსაზრება რადიკალურად შემეცვალა. აღარ მიჩუყდება გული უწინდებურად, თითქოს უფრო ცივი გავხდი, მაგრამ ჩემი მოსაზრებიდან გამომდინარე, ალბათ ასეთი ვიყავი ყოველთვის.

**nini TaraSvili** — თანამედროვე ფსიქოლოგიაში თვითდაკვირვება კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია. საკუთარ ემოციებზე დაკვირვებით ადამიანი თავის ფსიქიკურ თვისებებს შეიმეცნებს და აყალიბებს. რამდენად მეცნიერულადაც არ უნდა შედგეს ეს ძლივს დაზეპირებული ფრაზა, იგი მარტივად ადამიანური მოვლენაა და თითოეული ჩვენგანი, რაღაც გარვეულ ეტაპზე, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ახორციელებს მას. ახლაც, როცა ერთი სული მაქვს როდის ჩავაბარებ ამ „ნაშრომს“, ვაკვირდები ჩემს თავს და ვხვდები, რომ ფსიქოლოგიის ასეთ მნიშვნელოვანსა და ძვირფას მეთოდს სათანადო დროს არ ვუთმობ. არ შემოდლია საკუთარ თავზე ვისაუბრო, რადგანაც რაიმე მნიშვნელოვანი პროცესის დროს არ ვაკვირდები ჩემს თავს და არც მის მიერ დატოვებულ კვალს. ე-ი კიდევ უფრო მეცნიერულად რომ ვთქვა და ჩემს ცოდნას ხაზი გავუსვა, არ ვიყენებ რეტროსპექტულ თვითდაკვირვებას.

**TaTia gabiZaSvili** — დრო გადის და ვხვდები, რომ თითქმის არაფერი ვიცი, რაც უფრო მემატება ასაკი და გამოცდილება, მით უფრო იბნევა ჩემი შინაგანი „მე“. ვდგავარ თუ არა სწორ გზაზე,

7. გვ.



6 გვ.

გნარჯავ თუ არა ჩემს დროს სწორად, ვიღებ თუ არა სწორ გადაწყვეტილებებს, ვიჩინ თუ არა საკმარის ყურადღებას ჩემი მეგობრებისადმი, იცის თუ არა დედამ, რომ მიყვარს.

პატარაობიდან მეგონა, რომ მე ვიყავი ყველაფერი. მე, მე, მე... ის, რომ ჩემ გარშემო არ ტრიალებს დედამიწა, უკვე მივხვდი, მაგრამ მაინც შემომრჩა ის აზრი, რომ მე რომ არ ვიყო ამ ქვეყანაზე, ბევრს დავაკლდებოდი. ყოველთვის მქონდა პირველობის პრეტენზია, ყველგან, მაგრამ ყოველთვის მებრძოდა შიგნიდან ზარმაცი, ფეხებზე მკიდია თათია, რომელსაც სულ გართობა და დროის ტარება უნდოდა. 17 წლამდე ხან ერთი „მე“ ბატონობდა, ხან მეორე. ზოდიაქოს ნიშნით ტყუბები ვარ და მის მიხედვითაც სწორად მჭირს გაორება. პირველი „მე“ არის ცოტა დაუნდობელი, ბოროტი, უზრდელი, მკაცრი, მაგრამ კარგი თვისებებიც აქვს. იცის, სად როგორ მოიქცეს, პატივს სცემს უფროსებს, იქამდე, სანამ უფროსი პირადადარ შეეხება მის ზნეობას. ასევე, ამ პირველ „მე“-ს უყვარს სწავლა, ფეხებზე ჰკიდია სხვისი აზრები, დარწმუნებულია საკუთარ თავში, არ აქვს გრძნობები მამაკაცების მიმართ (არც ქალების), უბრალოდ იყენებს სხვებს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იწყებს მათთან ურთიერთობას. ეს „მე“ ვარჯიშობს. უვლის თავს, ჭამს ჭანმრთელ საკვებს, უსმენს მუსიკას და უყვარს მარტოობა. მხოლოდ და მხოლოდ მიზნების მისაღწევად იბრძვის.

17 წლის ასაკში წავედი ამერიკაში იმ იმედით, რომ ვიპოვნიდი საკუთარ თავს. ბევრ რაღაცას ვენდობოდი თვალდასუჭული, მივენდობოდი ბედისწერას და ისიც მათურთავებდა აქეთ-იქეთ. როდესაც სკოლაში შევედი, ვიყავი უსუსური, მარტო, ეული, მაგრამ იმიჯი მქონდა ისეთი, ყველას ჩემი შურდა. ძლიერ პიროვნებად ვასაღებდი თავს, მაგრამ ღამე დგებოდა... სახლში მივდიოდი და ვფიქრობდი, თუ რა იყო ჩემი ცხოვრება. ჩემი სუსტი მხარეც მალე გამოვჩინე და შემიყვარდა. გავთხოვდი. ამაზე ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ცუდად დამთავრდა ყველაფერი, ბევრი ტკივილი გადავიტანე, ფიზიკურადაც და შინაგანადაც. და აი ეს იყო ის პერიოდი, როდესაც შევიძინე ახალი თვისებები, გავხდი დაუნდობელი და უგრძნობელი. გავიდა 4 წელი და ჩამოვედი საქართველოში. სრულიად შეცვლილი, გაბოროტებული, გაცივებული, ჩემი დამოკიდებულება შეიცვალა ადამიანების მიმართ, მაგრამ ამ ხალხში რთულია იყო ისეთი, როგორც მე ვარ. ნერვები მეშლება ძალიან ადვილად და როცა მეშლება, იქ ფეხებზე მკიდია უფროსი, უმცროსი, მასწავლებელი, გამყიდველი თუ ვინ. მხოლოდ და მხოლოდ მადარდებს სამართლიანობა. მეზინდება ერთი რაღაც – უსამართლობა სხვის მიმართ და ჩემ მიმართ ხომ – საერთოდ. ასევე გავხდი უზომოდ აგრესიული და არ მინდა სულ სხვაგან წამიყვანოს ამ ჩემმა პრინციპულობამ. არ ვიცი, როგორ გავძლებ ამ უწესრიგო ქვეყანაში, მაგრამ ისევ მივენდობი ჩემს ბედისწერას და ვნახოთ, სად წამიყვანს იგი...

**sal ome didebaSvil i** — საკუთარ თავზე დაკვირვება და ზოგადად ჩემ თავზე ფიქრი 17

წლის ასაკში დავიწყე, როცა სკოლას ვამთავრებდი და პროფესიული არჩევანი უნდა გამეკეთებინა. იმდროინდელი თვითდაკვირვება ან არასწორი, ან სიღრმეს მოკლებული იყო, ამიტომაც მცდარი გადაწყვეტილება მივიღე. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ თავს გავართმევდი და ისეთ საქმეს გავაკეთებდი, რაც საერთოდ არ მომწონდა და არ მიზიდავდა... მედიცინის სფერო შორს იყო ჩემგან, მაგრამ მაინც არ ვტოვებდი ამ პროფესიას. საბოლოოდ კი, როცა გადაწყვეტილება მივიღე და პროფესიის შეცვლა გადავწყვიტე, მეგონა, ბოროტებისგან განვთავისუფლდი. თავისუფლება ფართო ცნებაა, მაგრამ ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დავაკვირდი, რომ სასიათი, აზროვნება, მოთხოვნილებები შემეცვალა. ადრე მეგონა, რომ ვიბოჭებოდი, არ ვიცოდი, რა მინდოდა, მაგრამ დღესდღეობით სტუდენტური ოჯახის წევრად ვგრძნობ თავს. თვითდაკვირვებით მივხვდი, რომ შრომისმოყვარე ვარ, პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, მაგრამ ამასთანავე – ჩამოუყალიბებელი. ათას საქმეს ვიწყებ და ზოგს შუა გზაში ვტოვებ, ზოგი კი ბოლომდე არ მიმყავს, ერთუზიანებით ვიწყებ ახალი საქმის კეთებას და ცოტა ხანში თავს ვანებებ. პირად ურთიერთობებში გადაწყვეტილებებს ძნელად და ბევრი ფიქრის შემდეგ ვიღებ, თუმცა მეგონა, რომ პირადში მაინც ვიქნებოდი ჩამოყალიბებული... ადვილად მბეზრდება საქმეც და ადამიანებიც, მუდმივად სიანლე მჭირდება იმისთვის, რომ ვიცხოვრო და არ ვიარსებო.

**Tamar mebuke** — თვითდაკვირვება არც თუ ისე იოლი პროცესია, მაგრამ სწორედ თვითდაკვირვებამ შემაძლევინა აღმომჩინა ჩემში ისეთი თვისებები, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა. აღმოჩნდა, რომ ზედმეტად ემოციური ვარ, რაც არ მომწონდა. დასაწყისში მიწევდა გონების დაძაბვა, მოვლენების რაციონალურად გაანალიზება, ერთი სიტყვით, ბრძოლა ემოციებთან. მრავალი ცდის შედეგად გამოიმუშავდა თავშეკავებისა და ცივი გონებით განსჯის უნარი... მაგრამ ამ ჩემს ძალისხმევას უარყოფითი შედეგიც მოჰყვა: გავხდი ზედმეტად სკეპტიკური და პრაგმატული, ეს კი ბადებს ემოციის დეფიციტის შეგრძნებას. ამასთან, ჩემს გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაცივდა და ოფიციალური შეიქნა. მივხვდი, რომ ამის აღმოფხვრაც მომიწევს.

საბოლოოდ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ადამიანს შეუძლია ოქროს შუალედის დაცვა. მთავარია, საკუთარი თავის შესამეცნებლად სიმართლეს თვალზე შევხედოთ.

**I ika vezdeni** — თვითდაკვირვებით აღმოვაჩინე: რომ ჩემში არსებობს ორი ლიკა: საშინაო და საგარეო. ოჯახში სულ სხვანაირი ვარ და გარეთ კი სულ სხვა. ეს, ალბათ, ჩემი ოჯახისწევრების დამსახურებაა.

8 გვ.



◀ 7 გვ.

ბავშვობიდან მიმეორებდნენ, რომ და-ძმებში ყველაზე დამთმობი, გულჩვილი და ყურადღებიანი ვყოფილიყავი და ამიტომ მიწევდა და-ძმებისთვის ყველაფრის დათმობა და ატანა. ქუჩასა და სკოლაში კი, პირიქით, შემტევი ვარ, ამიტომ მშობელთა კრებაზე მოსული დედაჩემი გააკვირვებული და დაბნეული რჩებოდა.

**daTo j iqia** — თვითდაკვირვების კვლევის მეთოდი გვეხმარება საკუთარ შინაგან, „სულიერი“ სამყაროს უკეთ გააზრებაში. სიმართლე რომ ვთქვა, ამ მეთოდით ჩემს თავში ვერაფერ განსაცვიფრებელს ვპოულობ. თუმცა, ვპოულობ იმას, რის დამალვასაც ვცდილობ.

თვითდაკვირვება მხოლოდ 14-15 წლის ასაკში დავიწყე. აღმოვაჩინე, რომ საკუთარ სახეს ნიღბების მიღმა ვმალავ. ხალხის წინაშე ვცდილობ უსუსურ, ნიჭიერ, დებილად გამოვჩნდე. ამ (ასე ვთქვათ) სახეებით ვცდილობ სხვების ყურადღება მივიპყრო. უსუსურობაზე, იმედი მაქვს, რომ სიმპათიით შემომხედავენ, ნიჭიერებაზე – პატივისცემით, ხოლო დებილობაზე – იუმორით, სიცილით. მიმართიდება, რომ სხვებს დავანახო, ვითომ ბევრი რამ ვიცი. როცა წარმოდგენაც კი არ მაქვს, რა ხდება ჩემ გარშემო.

მიუხედავად იმისა, რომ თვითდაკვირვება ყველა ამ (ასე ვთქვათ) პრობლემის აღმოჩენაში მენხმარება, ამავე პრობლემათა გადაწყვეტაში ხელს არ მიწყობს.

გულანდილობისთვის რომ დავამატო, საკუთარი იმიჯის შექმნით უფრო ვარ დაკავებული, ვიდრე ჩემი სულიერი სამყაროს კვლევით. ჩემი სახისთვის ნიღბებს ვქმნი და შინაგან სამყაროს ფეხებზე ვიკიდებ. თუმცა შინაგანი და სულიერი სამყარო ისედაც მთელ სამყაროს ფეხებზე კიდა.

**ina koberize** — თანამედროვე ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერებაა, თუმცა, უხდება თითდაკვირვების, ანუ იტროსპექციის გამოყენებაც. მკვლევრები თვითონ, ან სხვა ცდისპირების მეშვეობით, აკვირდებიან მათში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებს და საკუთარ განცდებს. თუმცა, თითდაკვირვება შეუძლიათ მხოლოდ ზრდასრულ ადამიანებს. ვინაიდან მე უკვე ზრდასრულ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, თავს უფლებას ვაძლევ, საკუთარ განცდებს დავაკვირდე.

თვითდაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე, რომ ჩემი ატირება ძალიან რთულია, თუმცა პირველად მთელი გულითა და განცდებით ვიტირე, როდესაც დედა პირველად ვნახე. არ მეგონა, ნანახი სიზმარი ასე თუ ამატირებდა. მაღალი, შავ და გრძელთმიანი ქალბატონი, ულამაზესი თვალებითა და მომნიბლავი ღიმილით, მომიხლოვდა და ჩამეხუტა. ეს ჩვენი პირველი ჩახუტება იყო, რადგან დედა ჩემს მშობიარობას გადაჰყვა და ერთმანეთის გაცნობაც ვერ მოვასწარი. აი, მაშინ მივხვდი, რომ არც თუ ისე ძლიერი ვყოფილვარ. დავიწყე საკუთარი გრძნობების უფრო მეტად დაკვირვება და აღმოვაჩინე, რომ ძლიერი ადამიანი ჩემში მხოლოდ ნიღბია.

თვითდაკვირვება საკუთარი თავის შეცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და ვცდილობ, მეტად და მეტად განვაფითარო ის ჩემს თავში. მხოლოდ ასე შევიტყობ ვინ ვარ და ვინ მინდა ვიყო.

**sal ome I abaZe (შიშის შემდეგ)** — თვითდაკვირვება არასდროს მიცდია, თუმცა, რა თქმა უნდა, მიფიქრია იმაზე, თუ რა გავაკეთე, როგორ და რატომ, მაგრამ არა იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლა ვაანალიზებ.

ამ შემთხვევაში უკუხედვით თვითდაკვირვების მეთოდს გამოვიყენებ და ვისაუბრებ ჩემი განცდის შესახებ...

შიში: შიშის დროს იმდენად უცნაური შეგრძნება მეუფლება, რომ განცდის დასრულების შემდეგ საოცარ სიამოვნებას, შვებას ვგრძნობ.

აღმოვაჩინე: ამ შვების განცდა იმდენად მომწონს და მსიამოვნებს, რომ ხელოვნურად ვიქმნი სიტუაციას, რომლის შემდეგაც შვების განცდა მეუფლება.

მაგ.: ძალიან მეშინია სიმაღლის. ვერ ვიტან, როდესაც ფეხებქვეშ სივრცეს ვხედავ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვჯდები კარუსელზე. იქ ყოფნის განმავლობაში ვფიქრობ მხოლოდ მოსალოდნელ სიამოვნებაზე, რომელიც კარუსელის გაჩერების შემდეგ მილის...

**\* \* \*** — რამდენიმეწლიანი თვითდაკვირვების შედეგად მივხვდი, რომ ვარ უპასუხისმგებლო... ყოველთვის ვერიდებოდი პასუხისმგებლობას.

ასევე იმასაც ვაკვირდები, რომ დღითიდღე უფრო მიჩნდება ამ ქვეყნიდან წასვლის სურვილი. ეს ყველაფერი განაპირობა დღესდღეობით მომხდარმა ამბებმა საქართველოში. ვხვდები, რომ საქართველო ის ქვეყანა აღარ არის, რომელიც ადრე იყო. ხალხი შეიცვალა...

თვითდაკვირვების შედეგად ვხვდები, რომ ადამიანი მალე მბეზრდება, როგორც კი მასში დასახულ მიზანს მივალწევ.

ასევე ვხვდები, რომ საერთოდ არ ვარ რომანტიკული, მაგრამ თითქოს დიდი რომანტიზმია ჩემში..

ვხვდები, ისეთი ბავშვი აღარ ვარ, რამდენიმე წლის წინ რომ ვიყავი. ყველაფერს სხვანაირი თვალით ვუყურებ, სხვანაირად აღვიქვამ, სხვანაირად ვიქცევი, სხვანაირად გამოვიყურები.

თვითდაკვირვების შედეგად ვხვდები, რომ ძალიან გულცივი ვარ, არ შემიძლია არაფრის გულთან ახლოს მიტანა, მაგრამ ერთი კარგი თვისება მაქვს: ადამიანი თუ ამოვიჩემე, ბოლომდე შემიძლია მასთან მეგობრობა, ანალოგიურად იმავეს მოვიტხოვ მისგან.

ზოღიაქოთი ვარ მორიელი, ამით, მე მგონი, უკვე ყველაფერი ნათქვამია!



**ioane (vano) xuciSvi I i da misi  
reJisura**

**რეჟისორის „შიდა სამზარეულო“**

ამა წლის შვიდ ნომბერს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მესამე კურსის სტუდენტებს, მომავალ თეატრმცოდნეებს (ჯგუფის ხელმძღვანელი თეატრმცოდნე, ასოცირებული პროფესორი თამარ ცაგარელი), რომლებიც ამჟამად შევისწავლით რეჟისურის ხელოვნების ანალიზს, გვეწვია თავისუფალი თეატრის ახალგაზრდა რეჟისორი იოანე (ვანო) ხუციშვილი.

შევხვედრამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა, რადგან რეჟისორის უშუალო ხასიათის გამო, ამ პროცესმა ტრაფარეტული სახე არ მიიღო, – გაგვიადვილა მასთან ურთიერთობა და აქედან გამომდინარე, შევძელით თამამად დაგვეფიქსირებინა ჩვენი აზრი.

ბატონმა ვანომ საშუალება მოგვცა, სხვა კუთხით შეგვეხედა რეჟისორის ხელოვნებისთვის, გაგვიღო „შიდა სამზარეულო“ კარი და გვაჩვენა მისი თვლით დანახული სამყარო, რომელშიც რამოდენიმე საათის განმავლობაში „ვმოგზაურობდით“.

საუბრისას მიმოვიხილეთ მისი შემოქმედება, თუმცა ყურადღება განსაკუთრებით გავამხვილეთ და განვიხილეთ მისი ორი სპექტაკლი – „მაკბეტი“ და „თოჯინების სახლი“. რეჟისორი დაგვეჩვენა სპექტაკლში ჩვენთვის ამოუხსნელი პატარა-პატარა დეტალების გაანალიზებაში და ჩვენი მხრიდანაც მიცემულ რჩევებს ინტერესით მოეკიდა. გაგვიზიარა ის ემოციები და განცდები, რაც სპექტაკლის დადგმას ახლავს თან და რაც ყველასთვის არ ჩანს. გვესაუბრა იმ სირთულეებზე, რომლებიც წშირად იჩენენ თავს მის საქმიანობაში, უფრო ფართოდ გაგვაცნო მსახიობის და რეჟისორის ურთიერთობა მუშაობისას, რომელზეც დამოკიდებულია შემდგომში წარმოდგენის წარმატება.

საბოლოო ჯამში, შევძელით რეჟისორის ხედვა, ფანტაზია და მოქმედება სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვანაირად დაგვენახა. სიღრმისეულად გავიგეთ ის დეტალები, რომლებიც აქამდე უმნიშვნელოდაც კი მიგვაჩნდა, რაც, ჩემი აზრით, დაგვეჩვენა სწავლის პროცესში და უფრო საინტერესოს გახდის მას.

შევხვედრამ იმაზე მეტი დადებითი ემოცია გვაჩუქა, ვიდრე ველოდით, რის გამოც დღევ საკმაოდ სასიამოვნოდ დამთავრდა.

**nino darCiaSvi I  
Teatrmcodneobis III kursi**

**„თოჯინების სახლი“**

ნორვეგიელი დრამატურგის, ჰენრიკ იბსენის „თოჯინების სახლი“ ახალგაზრდა რეჟისორი იოანე ხუციშვილის სადებიუტო ნამუშევარს წარმოადგენს. იგი თავისუფალი თეატრის სცენაზე 2011 წელს დაიდგა და უკვე მე-4 წელია აღელვებს მაყურებელს. პიესა დღევანდელი სამწიფო რეალობის ზუსტი გამოძახილია. იბსენის **დრამატურგია** თავის დროზე ფემინიზმის მანიფესტადაც კი შერაცხეს.

თეოკუხიანიძის დეკორაცია, გიორგი ჭიქიას მუსიკა და იოანე ხუციშვილის რეჟისურა ნორვეგიელი ქალის პირად ტრაგედიაზე მოგვითხრობს. მისთვის ძალადობის მსხვერპლის როლში ყოფნა ბუნებრივი მდგომარეობაა. ნორას „ცხოვრების წესი“ მკაცრად განსაზღვრულია და ისიც უსიტყვოდ ემორჩილება ჯერ მამას, ხოლო შემდეგ ქმარს. პერსონაჟი განვითარების გზას გადის, რათა პიროვნებად ჩამოყალიბდეს, მოიპოვოს თავისუფლება და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები.

სპექტაკლის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს თეოკუხიანიძის დეკორაცია წარმოადგენს. ფაქტობრივად, მოქმედება ზინგერის საკერავ მანქანაში მიმდინარეობს. პერსონაჟები მისი მექანიზმიდან ამოდიან. წარმოდგენა კი მის ზედაპირზე ვითარდება. სპექტაკლი დატვირთულია სიმბოლოებითა და მინიშნებებით (კონკრეტული პერსონაჟის შემოსვლისას, ან რაიმე ამბის მოსალოდნელი განვითარების შესახებ, ნახატები გვამცნობენ, რომლებიც სცენის ორივე კუთხეში კიდა). კვანძის შეკვრის წუთიდან წარმოდგენის დასრულებამდე, სპექტაკლს ასევე რეჟისორი დასდევს „მაკრატლის ჭრის“ მუსიკა, რაც ფსადაურად ბედნიერი ოჯახის რღვევის მეტაფორაა. გიგანტური საკერავი მანქანის ძირითად ნაწილს სასტუმრო ოთახის დეკორაცია იტევს, სადაც ძირითადი სცენები თამაშდება. ოთახის მარჯვნივ რკინის კონსტრუქციის კიბეა, რომელიც ერთ-ერთი პერსონაჟის – ჰელმერის (მსახიობი გიორგი ზანგური) სამუშაო ოთახისკენ ადის. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს პერსონაჟი საუბრობს წშირად ამ სახლის სიმყუდროვესა და სითბოზე, რკინის კონსტრუქცია საოცარი სიცივის განცდას იწვევს მაყურებელში.

ნერვული მუსიკა, პერსონაჟების ფსიქიკურ აშლილობასთან ერთად, დინამიკურად ძლიერდება. ისინი კი, **სედატიურ** საშუალებებზე დამოკიდებული ხდებიან. თითოეული პერსონაჟი მსხვერპლია გარემოსი. მათ გადარჩენისთვის ბრძოლა უწევთ ზოგიერთს საკუთარ თავთან, ზოგიერთს კი, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან. რეჟისორი ცდილობს, თითოეული გმირის საქციელი გაამართლოს, რომ მათი არსებობა აუცილებელია.

მსახიობ თამარ ნიკოლაძის ნორა ნერვული აშლილობის ცენტრალური რგოლია. სტრესული გარემო, სადაც მას უწევს ცხოვრება, გარკვეულ დღს ასვამს მის ფსიქიკას. ნიკოლაძემ გარდასახვის ხელოვნების საშუალებით ნორას

9 გვ.

სულიერი მდგომარეობა სრულიად გააშიშვლა და მისი აუტანელი ტკივილის თანაზიარი გახადა მაყურებელი. ტანჯვის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს მსახიობ მანია ხორნაულის ანა-მარია. იგი მწირი ტექსტით და მეტი გამომსახველობით ხერხით წარმოგვიჩინს პერსონაჟის არსს. მისი გმირი თავიდან ბოლომდე ნორაზეა მიბმული. თითქოს ცალკე, დამოუკიდებლად არც კი არსებობს. იგი ისევე იტანჯება, სტაკია და განიცდის, როგორც ნორა. ყველაზე „სენსიტიური“ კი, მისთვის იმ რეალობის გააზრებაა, რაც ნორას სახლიდან წასვლას უკავშირდება (ის ხომ, ფაქტობრივად, ხელმეორედ კარგავს საკუთარ შვილს)

მსახიობ გიორგი ზანგურის ტორვალდ ჰელმერი (ნორას მეუღლე) საზოგადოებრივი აზრის მარწმუნებში მოქცეული ადამიანია, მისთვის პათიოსნება ერთგვარი შირმაა, რომლის უკან ისევე ბნელა, როგორც მის სამუშაო კაბინეტში (ამას პერსონაჟი არაერთხელ აღნიშნავს). კროგსტადიც ხომ მისი წარსულის ლანდია, რომელიც მოხვედრას უკარგავს, ხელოვნურად შექმნილ უმწიკვლოებას ურღვევს და მის ყოფას გაუსაძლის ხდის. ამ პერსონაჟის წყალობით ცოლ-ქმარს შორის არსებული ნაპრალი კიდევ უფრო ღრმავდება და ისინი ორ მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდებიან. მათი დაკავშირება უკვე შეუძლებელი ხდება. საბოლოოდ კი, ნორა ფიზიკურად თავს აღწევს ქმრის კლანჭებს.

მსახიობ დევი ბიბილეიშვილის კროგსტადი, რეჟისორის ჩანაფიქრით, ცოლ-ქმრის ლანდად უნდა იქცეს. მისი გამოჩენა მაყურებელსაც შიშს უნდა ჰგვრიდეს, თუმცა გარკვეულ სცენებში მსახიობის გამომეტყველება არაადეკვატურია მის მიერ განსასახიერებელი როლისა. ის უფრო კეთილსინდისიერ ადამიანს თამაშობს, ვიდრე არსებობისთვის მებრძოლ კაცს. მსახიობის ტექსტი და სახის რეაქცია აბსოლუტურად სცდება ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მცირე პარტერია, ბიბილეიშვილის ხმა წინა რიგებშიც კი ძნელად აღწევს.

მსახიობ ნინო ფილფანის ფრუ ლინე, სავარაუდოდ, სიმსივნით დაავადებული ქალია. მას ორ სცენაში ებისტაქსი უვითარდება. ალოპეციის გამო კი პარიკს ატარებს. ავადობაზე მიგვანიშნებს დამახასიათებელი ხმის ტემბრიც. ყოველივე ამის მიუხედავად, ის ცდილობს იარსებოს მსახიობ ბაჩო ჩაჩიბაიას ექიმი რანკინისგან განსხვავებით. ეს ორი გმირი ერთმანეთის ამბივალენტურია. ერთი ნებდება და კვდება, ხოლო მეორე იბრძვის, რათა გადაარჩეს და იცოცხლოს.

რეჟისორი საოცარი ფანტაზიის წყალობით ორიგინალურ მიზანსცენებს ქმნის, რაც ხაზს უსვამს მის ინდივიდუალობას. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იოანე ხუციშვილი, როგორც რეჟისორი, ამ სპექტაკლით შედგამისი პერსონაჟები არიან ადამიანები, რომლებიც მუდმივად თამაშობენ. ატყუებენ ერთმანეთს, საკუთარ თავს, მაყურებელსაც კი. თამაშობენ ბედნიერებას, სიყვარულს. საბოლოოდ ამ ტყუილსა

და თამაშში თვითონვე იხლართებიან. კარგავენ პიროვნების განცდას, ერთმანეთს მოხვედრას უკარგავენ, ვაკუუმში ექცევიან, სადაც სუნთქვაც კი პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. შეუძლია ნორას ამ ჩაკეტილი წრიდან თავის დაღწევა?! სწორედ ამ კითხვას უსვამს რეჟისორი მაყურებელს.

nino daraxvel iZe  
Teatrmodneobis III kursi

## „მაკბეტი“

ამა წლის ნოქტომბერს, გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში ითამაშეს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრის სპექტაკლი „მაკბეტი“ (რეჟისორი იოანე (ვანო)



ხუციშვილი). წარმოდგენა თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. ჩვენ ვვალწინ, სცენაზე რუხი ფერის რკინის კონსტრუქციას, რომელიც სასახლის გალავნის შთაბეჭდილებას ქმნის. სპექტაკლის დასაწყისშივე ჩნდებიან კუდიანები (მსახ. I კუდიანი – მსახიობი ევა ხუტუნაშვილი, II კუდიანი – მსახიობი კახაბერ შარტავა, III კუდიანი – მსახიობი გაგი შენგელია), რომელთაგან ერთი ქალია – მკვეთრად გამოხატული მასკულინური თვისებებით, ხოლო დანარჩენი ორი – გაურკვეველი სქესის არსებაა, რომლებიც, როგორც





შემდგომ ვიგებთ, მთელი წარმოდგენის განმავლობაში განვითარებული მოვლენების აღმსრულებლები არიან. რაც შეეხება მაკბეტის როლის შემსრულებელ მსახიობ ბაჩო ჩაჩიბაიას, ის თითქოს არ განსხვავდება სხვა მოქმედი პირებისაგან, – სამშობლოსა და მეფის ერთგულია, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მასში დავინახავთ განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც ტიპური კარიერისტია და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ხდება მოძალადე. მისი გულშემატკივარი, მხარდაჭერი, შთამაგონებელი და უფრო მეტიც – სტიმულის მიმცემი, რომ მეფე გახდეს, გახლავთ ლედი მაკბედი (მსახიობი ნინო ჭოლაძე). ამ ურთიერთობის შემხედვარე, მაცურებელი გულგრილი არ რჩება და ჩვენც ვამჩნევთ, რომ თითოეული მათი შეხვედრის სცენის შემდეგ, მაკბეტის შინაგან სამყაროში რაღაც ცვლილებები ხდება. ამ გმირში ვნებიანი, ცხოვრებაზე დახარბებული ადამიანის სურვილები ბუდობს და მას შემდეგ, რაც ის საკუთარ მიზანს უამრავი ადამიანის სიცოცხლის ფასად მიაღწევს, უმალ იქცევა სულიერად დაღლილი, ცხოვრებისაგან გათელილი ადამიანის პროტოტიპად. საოცრად ეფექტურად, ამაღლებებლად და სანახაობრივად არის გადაწყვეტილი ლედი მაკბეტის მიერ მაკბეტის ხელახლა დაბადების სცენა.

სპექტაკლში დომინირებს შავი ფერი, რომელიც სიკვდილის, მწუხარების, უმეცრების, ბოროტების, სიმდაბლისა და საზოგადოდ, ნეგატიურ ძალთა უნივერსალური სიმბოლოა. თუმცა, წარმოდგენის მსვლელობისას დროდადრო ჩნდება თეთრი და წითელი ფერებიც, რაც სინათლის, სიწმინდისა და გამარჯვების მომასწავებელია.

მთელი წარმოდგენის განმავლობაში სცენაზე დგას აკვარიუმი ორი თევზით, რაც ჩაკეტილობას, ტყვეობასა და უიმედობაზე მანიის შნებს. სიმბოლურია, აგრეთვე, ლედი მაკბეტის მიერ წითელი ღვინის გადასხმა თეთრ კაბაზე, რაც იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ „სუფთა“ სული ამდენმა ცოდვამ გაუბინძურა. წარმოდგენის მსვლელობისას ისეთი განცდა

მეუფლება, თითქოს მთელმა სამეფომ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ყველა დუმდა. ამ განცდას განსაკუთრებით ბენქოს (მსახიობი გიორგი ზანგური) მკვლევლობა მიმძაფრებს, ადამიანისა, რომელიც პოტენციური მეფეა და მაკბეტების დანაშაულებათა მცოდნე. მისი თავიდან მოშორება, მეჯლისის დროს, თითქოს, ყველას თვალწინ მოხდა, მაგრამ, ამ ფაქტს წინ არავინ აღუდგა. სწორედ ამ მკვლევლობიდან იწყება მაკბეტის სულიერი აშლილობა და სინდისის ქენჩნა. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება ლედი მაკბეტიც. ცოდვების თავიდან მოსაცილებლად ხელის ბანის მეთოდს მიმართავს (მათე 27, 15-26 // მარკოზი 15, 6-15 // ლუკა 23, 13-25 // იოანე 18, 31-40), რასაც მრავალჯერ იმეორებს, თუმცა თვითონვე ხვდება, რომ უშედეგოა ეს ყველაფერი, – გაგიჟების

შემდეგ გარდაიცვლება კიდეც. მისი სიკვდილის გაგება მაკბეტისთვის ბოლო წვეთი იყო და საოცრად სასოწარკვეთილს შემდეგი სიტყვები აღმოხდება: „რა ეჩქარებოდა“. მან დაკარგა არა მარტო ცოლი, არამედ დედა, მესაიდუმლე და მაცოცხლებელი. ლედი მაკბეტისა და მაკბეტის მიერ ერთად განვლილი, აწ უკვე, „მონანიებულ“ ცხოვრებაში ზუსტად ჩანს შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა: „ბოროტებაში




არის სიკეთე და სიკეთეშიც ჩანს ბოროტება“.

სპექტაკლი დახუნძლულია სიმბოლური დატვირთვის მქონე დეკორაციით, რეკვიზიტებით, ფერებით, ქმედებებითა და მეტაფორებით, რაც, ზემოხსენებულის გარდა, კარგად დავინახე სპექტაკლის დასასრულს. სამეფო სკიპტრით ხელში ლედი მაკბეტის კაბაში გამოწყობილი „ქალი კუდიანი“ ადის და ჯდება სამეფო ტახტზე, პარალელურად კი სამეფოს გალავანი იშლება. მეტად შთამბეჭდავია მეფე დუნკანის (მსახიობი დავით როინიშვილი) გამოჩენა სცენაზე, რაც, თითქოს, იმაზე მეტყველებს, რომ ცხოვრება წრეზე ტრიალებს, ხოლო ადამიანები და მთელი სამეფო ერთი ადამიანის სათამაშოაა ქცეული...

TamTa gvi Ci ani  
Teatrmcodneobis III kursi

# ufrTo Taoba

ის, რაც ყველას აწინებს, რასაც უამრავი ადამიანი შეეწირა, რაც ბევრს გადაუტანია და რასაც ხალხის ფსიქიკა სამუდამოდ დაუმახინჯებია. დიდი თუ პატარა... ომია! ყველგან ომია!..



და, აი, მეც, XXI საუკუნეში ვცხოვრობ, მეც, ფაქტობრივად ახლა ვიწყებ ცხოვრებას და ის უკვე მინახავს... ომი! მახინჯი, საზარელი, ცივი და მტკივნეული... ხალხში დარჩენილი ყველაზე დიდი ტკივილი და მრავალთაობათა სტუმარი, ვულკანივით დაუცხრომელი და შეუცნობელივით საშიში.

სწორედ ამ თემებს ეხმაურება ახალგაზრდა რეჟისორი დათა თავაძე სპექტაკლით — „ტკივილი არის ახალგაზრდობა“. პრემიერა სამეფო უზნის თეატრში 2014 წლის 10 ივლისს შედგა.

ფსიქოლოგიური დრამა ვენაში 1923 წელს ვითარდება და შვიდი სტუდენტის არეულ და მტკივნეულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ისინი ომგამოვლილი ახალგაზრდები, მომავალი ექიმები არიან... ხოლო, უნივერსიტეტი, სადაც ისინი პროფესიას ეუფლებიან, სამედიცინო ჰოსპიტლად გადაქცეულა.

ცივ ფერებში გადაწყვეტილი ოთახი სცენაზე თავიდანვე ნერვულ ატმოსფეროს ბადებს. ორი მცირე ზომის სავარძელი, ერთი მაგიდა და აკვარიუმი ის ძირითადი ატრიბუტებია, რომლებიც ამ პატარა სივრცეს ავსებენ (მხატვარი — ქეთი ნადიბაიძე). პარტერში გადმოსული დეკორაცია კი, რომელსაც მაყურებელი დარბაზის სამივე მხრიდან ერთდროულად აღიქვამს, ჩვენც, უშუალოდ მოქმედების თანამონაწილედ გვხდის. პერსონაჟების განცდები, ტკივილი, ამბოხი, საკუთარი თავის პოვნის მცდელობა — სულაც არაა უცხო, პირიქით, სწორედ ეს „მშობლიური“ გრძნობები გვაანლოვებს კიდევ უფრო თითოეულ მათგანთან. დროს შეწირული ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერ არაფერი დაუშავებიათ, ყველაზე დიდი ტვირთის მზიდავები ხდებიან, რის გამოც აღარ აქვთ საშუალება, იარონ წელში გამართულდ და ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან, გარდამტეხ ეტაპზე მათი ფსიქიკა ავადდება.

**დენიჩე** (მსახიობი კატო კალატოშვილი) სახლიდან გამოქცეული თავადიშვილია, რომელიც ოჯახის პრობლემებისგან ძლივს ითავისუფლებს

თავს, მეორე უკიდურესობაში ვარდება და უარეს პრობლემებს ეჯახება. ბოზოქარი და თავადასავლების მოყვარული გოგონა თითქოს იკარგება ცხოვრების ლაბირინთში, საიდანაც გზას ვეღარ იგნებს. **მარი** (მსახიობი ნატა კახიძე), ერთი შეხედვით ძლიერი ადამიანი, სასიყვარულო სამკუთხედის მსხვერპლია, მისი სიძლიერეც ქრება და ხელში გვრჩება ქალი, რომელსაც სჭირდება ვიღაცის მფარველობა, სიყვარული და ზრუნვა. **ფრედერი** (მსახიობი თორნიკე გოგრიჭიანი) ცინიკური და მიმზიდველი ყმაწვილია, ზუსტად იცის, როგორ უნდა მიიღოს ის, რაც სურს, სარგებლობს ყველანაირი მდგომარეობით და ფსიქოლოგიურად მოქმედებს ადამიანებზე. **ირენე** (მსახიობი სალომე მასისაშვილი) და მისი შეყვარებული **პეტრელი**, **იგივე „ცუგო“** (მსახიობი გიორგი შარვაშიძე), ერთმანეთში ეძებენ ხსნას. იმდენად დიდია რაიმე ახალი და კარგი ემოციის სურვილი, რომ აღარ ახსოვთ მარი, რომლის შეყვარებულებს მანამდე პეტრელი გახლდათ, ხოლო ირენე — მეგობარი. **დამლაგებელი ლუსი** (მსახიობი მაგდა ლებანიძე) ფრედერის მახეში ებმება და, საბოლოოდ, მისი მსხვერპლი ხდება, ხოლო **ალტი** (მსახიობი პაატა ინაური) სპექტაკლში ყველაზე ნეიტრალური პერსონაჟია, ალბათ ისიც განიცდის, მასზეც მძიმედ მოქმედებს არსებული სიტუაცია, შეიძლება მსხვერპლიც ვუწოდოთ, თუმცა არ იმჩნევს.. არ ემჩნევა. ის მხოლოდ მოვლენებს აკვირდება, ბევრს ფიქრობს და რჩევებს იძლევა.



„დაივიწყე, ვინ ხარ, ახლიდან აღმოაჩინე შენი თავი და აჩვენე ხალხს ბოროტება“.

საბოლოო ჯამში, ხსნა არსაიდან ჩანს, მდგომარეობა არ იცვლება და არ მსუბუქდება, ყოველი სცენა დაძაბული და ქაოტურია, რასაც მუსიკალური გაფორმება განსაკუთრებით ამძაფრებს (კომპოზიტორი — ნიკა ფასური). პერსონაჟები აღარ თვლიან საჭიროდ, აკეთონ თავიანთი საქმე და დიაგნოზაც თავადვე ისვამენ — ახალგაზრდობა!

ახალგაზრდობა გახდა მათი დიაგნოზი, რომელსაც, სამწუხაროდ, ყველა ვერ უძლებს...

და მაინც... „ჭამე, ცხოვრება გრძელდება!“

nino darCiaSvi l i  
Teatr mcodneobis III kursi